საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს
გ ა დ ა წ ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა

ქ. თბილისი **2020 წლის 09 სექტემბერი**

დისციპლინური საქმე №172/18-2
მოსამართლე -- -- მიმართ
დისციპლინური სამართალწარმოების შეწყვეტის შესახებ

-- -- წარმომადგენლის, -- -- 2018 წლის 19 ივნისის №-- საჩივრის საფუძველზე „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75^5 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა და 75^6 მუხლის შესაბამისად, საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს დამოუკიდებელი ინსპექტორის მიერ მოსამართლე -- -- მიმართ დაიწყო დისციპლინური სამართალწარმოება და წარმოდგენილი საჩივრის საფუძვლიანობის წინასწარი შემოწმება.

დამოუკიდებელი ინსპექტორის 2018 წლის 15 ნოემბრის დასკვნა საქართველოს იუსტიციის უმაღლეს საბჭოს განსახილველად წარედგინა 2020 წლის 9 სექტემბრის სადისციპლინო სხდომაზე.

1. საჩივრის ავტორის მიერ მითითებული გარემოებები:

საჩივრის ავტორების განცხადებით, -- -- სასამართლომ დაარღვია დასაბუთებული გადაწყვეტილების (2018 წლის 23 თებერვლის გადაწყვეტილება) მხარისათვის ჩაბარების კანონით დადგენილი ვადა. შესაბამისად, მოსამართლემ (კოლეგიური შემადგენლობის ფარგლებში) ვერ შეასრულა საკუთარი ვალდებულება ჯეროვნად და ამით, ზიანი მიაყენა სასამართლოს ავტორიტეტს.

2. საჩივრის საფუძვლიანობის წინასწარი შემოწმების და გამოკვლევის შედეგად დადგენილი ფაქტობრივი გარემოებები:

2.1. 2014 წლის 05 სექტემბერს -- -- წარმომადგენელმა, -- -- სარჩელით მიმართა -- -- სასამართლოს მოპასუხის, -- -- მიმართ და მოითხოვა, მხარეებს შორის დადებული ხელშეკრულების ბათილად ცნობა.

2017 წლის 17 მაისის გადაწყვეტილებით (მოსამართლე -- --) სრულად დაკმაყოფილდა -- -- მოთხოვნა და ბათილად იქნა ცნობილი სადავო ხელშეკრულება. აღნიშნული გადაწყვეტილება 2017 წლის 27 ივნისს მოპასუხის მიერ გასაჩივრებულ იქნა სააპელაციო წესით.

2.2. -- -- სააპელაციო საჩივარი საქმის მასალებთან ერთად -- -- სასამართლოში გადაგზავნილ იქნა 2017 წლის 05 ივლისს. 2017 წლის 14 ივლისის განჩინებით სააპელაციო საჩივარი მიღებულ იქნა წარმოებაში. -- -- წარმომადგენელმა სააპელაციო შესაგებელი სასამართლოში წარადგინა 2017 წლის 20 სექტემბერს.

საქმეზე საბოლოო გადაწყვეტილება მიღებულ იქნა 2018 წლის 23 თებერვალს (თავმჯდომარე - -- --; მოსამართლეები - -- ---, -- --), რომლითაც -- -- საჩივარი დაკმაყოფილდა, გაუქმდა -- -- საქალაქო სასამართლოს 2017 წლის 05 ივლისის გადაწყვეტილება და მიღებულ იქნა ახალი გადაწყვეტილება.

2018 წლის 23 თებერვლის გადაწყვეტილება -- -- საკასაციო წესით გაასაჩივრა 2018 წლის 13 აპრილს.

2018 წლის 13 აპრილს -- -- წარმოადგენელმა, ხოლო 2018 წლის 16 აპრილს აპელანტის, -- -- წარმომადგენელმა განცხადებით მიმართეს -- -- სასამართლოს და მოითხოვეს, 2018 წლის 23 თებერვლის დასაბუთებული გადაწყვეტილების მათთვის გადაცემა.

2018 წლის 17 ივლისის აქტით მტკიცდება, რომ 2018 წლის 23 თებერვლის დასაბუთებული გადაწყვეტილება მომზადდა 2018 წლის 17 ივლისს.

-- -- წარმომადგენელს 2018 წლის 23 თებერვლის დასაბუთებული გადაწყვეტილება ჩაბარდა 2018 წლის 19 ივლისს (-- -- წარმომადგენელს 2018 წლის 20 ივლისს).

2.3. 2018 წლის სტატისტიკური მონაცემების მიხედვით, მოსამართლე -- -- განსახილველად გადაცემული ჰქონდა 445 საქმე, რომელთაგანაც დაასრულა 347 საქმის განხილვა (78.0%).

3. დამოუკიდებელი ინსპექტორის დასკვნა:

-- -- წარმომადგენლის, -- -- 2018 წლის 19 ივნისის №-- საჩივრის საფუძვლიანობის წინასწარი შემოწმების და გამოკვლევის შედეგად დადგენილი ფაქტობრივი გარემოებები არ შეიცავს მოსამართლე -- -- მიერ „საერთო სასამართლოების შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის 75[1] მუხლის მე-2 პუნქტის „ე" ქვეპუნქტებით (2020 წლის 1 იანვრამდე მოქმედი რედაქცია) გათვალისწინებული დისციპლინური გადაცდომების ჩადენის ნიშნებს.

4. საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს დამოუკიდებელი ინსპექტორის მიერ გადაწყვეტილების მიღების სამართლებრივი საფუძვლები:

„საერთო სასამართლოების შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის თანახმად, დისციპლინურ გადაცდომად შეიძლება მიჩნეულ იქნეს მხოლოდ ისეთი ქმედება, რომელიც „საერთო სასამართლოების შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის 75[1] მუხლის მე-8 პუნქტშია მოცემული. ხსენებული მუხლის მე-8 პუნქტის „ვ.ა" ქვეპუნქტის თანახმად, დისციპლინურ გადაცდომად ჩაითვლება „მოსამართლის მიერ საქართველოს საპროცესო კანონმდებლობით დადგენილი ვადის არასაპატიო მიზეზით არსებითად დარღვევა" (2020 წლის 1 იანვრიდან მოქმედი რედაქცია).

მოსამართლის მიერ საპროცესო კანონმდებლობით განსაზღვრული ვადის დარღვევაზე მსჯელობისას აუცილებელია ყურადღება მიექცეს ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-6 მუხლს (რომელიც მოიცავს სამართლიანი სასამართლოს მიერ საქმის გონივრულ ვადაში განხილვის უფლებას) და იმ კრიტერიუმებს, რასაც ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო იყენებს მე-6 მუხლის დარღვევის დადგენის დროს (საქმის განხილვის გონივრული ვადის დარღვევის გამო).

ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-6 მუხლით უზრუნველყოფილი უფლებების განხორციელების კუთხით საქართველოს საპროცესო კანონმდებლობით გათვალისწინებულ ვადებს მნიშვნელოვანი ფუნქცია გააჩნია. ამას ადასტურებს საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს №3/1/531 გადაწყვეტილებაში მოყვანილი მსჯელობა - „ვადებს მნიშვნელოვანი წესრიგი შეაქვს სამართლიანი სასამართლოს უფლებით სარგებლობის პროცესშიც. დრო სამართლიანი სასამართლოს უფლებას გასდევს მთლიანად უფლებით სარგებლობის განმავლობაში. ხშირ შემთხვევაში, ამ უფლებით სარგებლობის შესაძლებლობა თავიდანვე გარკვეული დროით არის პირობადებული - ამა თუ იმ უფლების, ინტერესის დასაცავად სასამართლოსადმი მიმართვა უფლების დარღვევიდან გარკვეული ვადით არის შეზღუდული (მაგალითად, საარჩევნო უფლების დაცვისას). ასევე კანონმდებლობა ვადებით ზღუდავს სამართლიანი სასამართლოს უფლების ისეთი უმნიშვნელოვანესი კომპონენტების გამოყენებას, როგორებიცაა - სასამართლოს გადაწყვეტილების ზემდგომ ინსტანციებში გასაჩივრების უფლება. სამოქალაქო საპროცესო კანონმდებლობაც განსაზღვრავს სასამართლოში

საქმეთა განხილვის წესს და მათ შორის ვადებს, რომლის განმავლობაშიც მხარემ უნდა შეასრულოს მოქმედება, წინააღმდეგ შემთხვევაში, იგი კარგავს ამ მოქმედების მოგვიანებით შესრულების უფლებას."

იმისათვის, რომ წინასწარი მოკვლევის შედეგად გამოვლენილი ფაქტობრივი გარემოებები სათანადოდ შეფასდეს და დადგინდეს, რამდენად შეიცავს მოსამართლის ქმედება შესაბამისი პუნქტით განსაზღვრული დისციპლინური გადაცდომის ნიშნებს, აუცილებელია განისაზღვროს, რა შემთხვევაში ჩაითვლება მოსამართლის მიერ საპროცესო კანონმდებლობით დადგენილი ვადის დარღვევა „არასაპატიოდ". ამ თვალსაზრისით განსაკუთრებით მნიშვნელოვანია „საერთო სასამართლოების შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის 75[1] მუხლის მე-8 ნაწილის „ვ.ა" ქვეპუნქტის მეორე წინადადება, სადაც კანონმდებელი პირდაპირ ადგენს მოსამართლის დისციპლინური პასუხისმგებლობის გამომრიცხავ ობიექტურ გარემოებებს. ამ ნორმის თანახმად, „...ვადის დარღვევის მიზეზი არასაპატიოდ არ ჩაითვლება, თუ მოსამართლემ აღნიშნული ვადის დაცვა ობიექტურ გარემოებათა (საქმეთა სიმრავლე, საქმის სირთულე და სხვ.) გამო ვერ შეძლო." სხვა შემთხვევაში, განსაკუთრებით მაშინ, თუ მოსამართლის ბრალეულ ქმედებას მოჰყვა საპროცესო კანონმდებლობით დადგენილი ვადის დარღვევა და ამ დარღვევამ არსებითად შელახა მხარეების კონსტიტუციური უფლებები, მიჩნეულ შეიძლება იქნას, რომ სახეზეა მოსამართლის მიერ დისციპლინური გადაცდომის ჩადენის ფაქტი. დისციპლინური გადაცდომის დადგენისას ყურადღება უნდა მიექცეს ასევე იმას, თუ რამდენად დააზიანა მოსამართლის ქმედებამ სასამართლოს ან/და საჯარო ინტერესები და რამდენად შეეზღუდა მხარეს ზემდგომი ინსტანციისათვის მიმართვის შესაძლებლობა.

ვადების დარღვევის საკითხი („საერთო სასამართლოების შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის 75[1] მუხლის მე-8 ნაწილის „ვ.ა" ქვეპუნქტის მეორე წინადადებით გათვალისწინებული ობიექტური გარემოებების ჭრილში) უნდა შეფასდეს ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს სასამართლო პრაქტიკით დადგენილი კრიტერიუმების შესაბამისად, კერძოდ:

1) საქმის სირთულე, რომელიც შეიძლება დაკავშირებული იყოს, როგორც საქმის ფაქტობრივ, ისე სამართლებრივ სირთულესთან (Katte Klitsche de la Grande v. Italy, §55; Papachelas v. Greece, §39); რომელიც შეიძლება დაკავშირებული იყოს რამდენიმე მხარის საქმეში ჩაბმასთან (H. V. United Kingdom, §72); მტკიცებულებების გამოკვლევასთან (Human v. Poland, §63) და ა.შ. ამასთან, იმ შემთხვევაშიც როდესაც საქმე თავისი არსით სირთულით არ ხასიათდება, თუმცა ეროვნული კანონმდებლობა არ არის ნათელი ამ გარემოებამაც შეიძლება საქმის განხილვის უსაფუძვლო გაჭიანურება გამოიწვიოს (Lupeni Greeck Catholic Parish and others v. Romania, §150);
2) მხარეთა მოქმედებები, რაც გულისხმობს მაგალითად, ადვოკატთა ხშირ ცვლილებას (Koenig v. Germany, §103), შუამდგომლობებს, რომელიც გამიზნულია პროცესის გასაჭიანურებლად, ან უბრალოდ დაკავშირებულია გარკვეულ ვადებთან (Acquaviva v. France, §61), ასევე სხვა მოქმედებები, რომელიც უკავშირდება საქმის განხილვის ვადის გაგრძელებას;
3) საქმის განმხილველი მოსამართლის მოქმედებები, ყურადღება უნდა მიექცეს ხანგრძლივი დროის განმავლობაში მოსამართლის მიერ საპროცესო მოქმედების შეუსრულებლობას/ჩაუტარებლობას (Pafitis and others v. Greece, §93; Tiece v. San Marino, §31; Suermeli v. Germany, §129).

მოცემულ შემთხვევაში, მოსამართლე -- -- წარმოადგენს სამოქალაქო საქმეთა განმხილველ მოსამართლეს. ამდენად, ყურადღება უნდა მიექცეს საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსით განსაზღვრულ შესაბამის ნორმებს.

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 372-ე მუხლის თანახმად, საქმის განხილვა სააპელაციო სასამართლოში წარმოებს იმ წესების დაცვით, რაც დადგენილია პირველი ინსტანციით საქმეთა განხილვისათვის, ამ თავში მოცემული ცვლილებებითა და დამატებებით.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 257-ე მუხლის მე-2 პუნქტის თანახმად, გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილის გამოცხადებიდან 14 დღის ვადაში სასამართლო ამზადებს დასაბუთებულ

გადაწყვეტილებას მხარეთათვის გადასაცემად. ამავე კოდექსის 259[1] მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, „თუ გადაწყვეტილების გამოცხადებას ესწრება გადაწყვეტილების გასაჩივრების უფლების მქონე პირი, ან თუ ასეთი პირისათვის საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით ცნობილი იყო გადაწყვეტილების გამოცხადების თარიღი, გადაწყვეტილების გასაჩივრების მსურველი მხარე (მისი წარმომადგენელი) ვალდებულია გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილის გამოცხადებიდან არაუადრეს 20 და არაუგვიანეს 30 დღისა გამოცხადდეს სასამართლოში და ჩაიბაროს გადაწყვეტილების ასლი; წინააღმდეგ შემთხვევაში გასაჩივრების ვადის ათვლა დაიწყება გადაწყვეტილების გამოცხადებიდან 30-ე დღეს. ამ ვადის გაგრძელება და აღდგენა დაუშვებელია.“

საჩივარი ეხება მოსამართლის (კოლეგიური შემადგენლობის ფარგლებში) მიერ დასაბუთებული გადაწყვეტილების მხარისათვის გადაცემის ვალდებულების დარღვევას. მოცემულ შემთხვევაში, საქმეზე საბოლოო გადაწყვეტილება სააპელაციო სასამართლოს მიერ მიღებულ იქნა 2018 წლის 23 თებერვალს. აღნიშნული გადაწყვეტილება -- -- წარმომადგენელს ჩაბარდა 2018 წლის 19 ივლისს, ხოლო -- -- წარმოადგენელს 2018 წლის 20 ივლისს. აღსანიშნავია, რომ საჩივრის ავტორის წარმომადგენელმა სასამართლოს დასაბუთებული გადაწყვეტილების ჩაბარების მოთხოვნით მიმართა 2018 წლის 16 აპრილს, გადაწყვეტილების გამოცხადებიდან 55-ე დღეს, კანონით განსაზღვრული ვადის 25 დღის დარღვევით (20-დან 30 დღემდე ვადაში).

საქმის მასალებით მტკიცდება, რომ 2018 წლის 23 თებერვლის გადაწყვეტილება მომზადდა 2018 წლის 17 ივლისს, კანონით გათვალისწინებული ვადის 5 თვემდე დარღვევით. თუმცა, იმის დასადგენად, არის თუ არა სახეზე დისციპლინური გადაცდომის ფაქტი, შეფასება უნდა მიეცეს ობიექტურ გარემოებებს, რომელმაც განაპირობა მოსამართლეების მხრიდან კანონით განსაზღვრული ვადის დარღვევა.

საქმის მასალებით მტკიცდება, რომ საქმე განსაკუთრებული სირთულის იყო და ეხებოდა მხარეებს შორის დადებული ხელშეკრულების ბათილობას და ამის საფუძველზე, მოდავე მხარეებს შორის წილის განსაზღვრას. საქმის განსაკუთრებულ სირთულეს ისიც ადასტურებს, რომ 2018 წლის 23 თებერვლის გადაწყვეტილება შედგება 100-ზე მეტი გვერდისაგან და მოსამართლის მხრიდან მის სრულყოფილად არგუმენტაციას დასჭირდა როგორც საქართველოს შიდა კანონმდებლობის, ისე საერთაშორისო შეთანხმებების და უცხო ქვეყნების სასამართლო პრაქტიკის გაცნობა და ანალიზი. მოსამართლის მიერ აღნიშნული გადაწყვეტილების მომზადება შესაბამის ვადაში, სცილდება გონივრული მოლოდინის ფარგლებს. შესაბამისად, მოსამართლის დატვირთულობის, მის მიერ ჩატარებული საპროცესო მოქმედებების და წინამდებარე საქმის სირთულის გათვალისწინებით, აღნიშნული ქმედება არ შეიცავს -- -- მიერ დისციპლინური გადაცდომის ბრალეულად ჩადენის ნიშნებს.

ასევე აღსანიშნავია, რომ დასაბუთებული გადაწყვეტილების მხარისათვის 2018 წლის 19 ივლისს ჩაბარებას არ გამოუწვევია მოსარჩელის ან მოწინააღმდეგე მხარის საპროცესო უფლების შელახვა/შეზღუდვა, რადგან, 2018 წლის 23 თებერვლის გადაწყვეტილება -- -- საკასაციო წესით გაასაჩივრა 2018 წლის 13 აპრილს. აღნიშნულიდან გამომდინარე იუსტიციის უმაღლესმა საბჭომ გაითვალისწინა ხსენებული გარემოებები, ასევე მოსამართლის დატვირთვა, მის მიერ განხორციელებული საპროცესო მოქმედებები და მიიღო შესაბამისი გადაწყვეტილება.

5. საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მიერ გადაწყვეტილების მიღების სამართლებრივი საფუძვლები:

„საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75[12] მუხლის მეორე პუნქტის თანახმად, საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭო იღებს დასაბუთებულ გადაწყვეტილებას მოსამართლის მიმართ დისციპლინური სამართალწარმოების შეწყვეტის შესახებ, თუ დისციპლინური

საქმის გამოკვლევის შედეგად მოსამართლის მიერ ამ კანონით გათვალისწინებული დისციპლინური გადაცდომის ჩადენის ფაქტი ან ბრალეული ჩადენა არ დადასტურდა.

„საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 50-ე მუხლის მე-3 პუნქტის თანახმად, სადისციპლინო საკითხზე გადაწყვეტილება მიღებულად ითვლება, თუ მას ფარული კენჭისყრით მხარს დაუჭერს საბჭოს სრული შემადგენლობის არანაკლებ 2/3-ისა.

საქართველოს იუსტიციის უმაღლესმა საბჭომ დამოუკიდებელი ინსპექტორის მიერ საჩივარზე შესაბამისი გარემოებების შესწავლისა და გამოკვლევის შედეგად დადგენილი ფაქტობრივი გარემოებების შეფასების შედეგად მიიჩნია, რომ არ არსებობს „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75^{1} მუხლის მე-8 პუნქტით გათვალისწინებული დისციპლინური გადაცდომის ჩადენის ფაქტი. შესაბამისად, 2020 წლის 09 სექტემბრის სადისციპლინო სხდომაზე ჩატარებული ფარული კენჭისყრის შედეგად (სადისციპლინო სხდომაზე დამსწრე იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 11 წევრთაგან 11 ხმით), მიიჩნია, რომ მოსამართლე -- -- მიმართ უნდა შეწყდეს დისციპლინური სამართალწარმოება.

საქართველოს იუსტიციის უმაღლესმა საბჭომ იხელმძღვანელა „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 50-ე მუხლით, 75^{12} მუხლის მეორე პუნქტით და

გადაწყვიტა:

დისციპლინურ საქმეზე №172/18 მოსამართლე -- -- მიმართ შეწყდეს დისციპლინური სამართალწარმოება.

გიორგი მიქაუტაძე

საქართველოს იუსტიციის
უმაღლესი საბჭოს მდივანი